



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/7532
10/09/2018

7532-09-2-201809101459



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
მის.: თბილისი, დელისის I შესახვევი, 5ა.

თქვენი 2018 წლის 29 აგვისტოს N14311 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმდინარე წლის 3 აგვისტოს N 09/6460 წერილით გეცნობათ, რომ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო უგზავნის საგამომიებო ორგანოებს საქმის მასალებს იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანებში აღმოჩენილია სურსათისმიერი დაავადებები და სააგენტომ დაადგინა სურსათში იმავე ბიოლოგიური ან/და ქიმიური აგენტის არსებობა, რაც დაფიქსირებულ იქნა ადამიანებში. აღნიშნული შემთხვევა გულისხმობს მათ შორის სსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებსაც. ამასთანავე, ზემოაღნიშნული პროცედურა გამომდინარეობს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნებიდან. კერძოდ, მე-2 მუხლის „ღ“ პუნქტის თანახმად: „მაგნე სურსათი არის ისეთი სურსათი, რომელიც არ შეესაბამება სურსათის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უვნებლობის მოთხოვნებს; ხოლო ამავე მუხლის „ჰ“ პუნქტის მიხედვით: რისკი არის ადამიანის ჯანმრთელობაზე, ცხოველის ჯანმრთელობაზე, მცენარის სიჯანსაღეზე საფრთხის ზემოქმედებისას მისი გავლენის ალბათობა და სიმძიმე. კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე: „სურსათის უვნებლობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: სურსათის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის, აგრეთვე პირველადი წარმოების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა; საბოლოო მომხმარებლის მიერ სურსათის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა; სურსათის (მათ შორის, ცალკეული კატეგორიების სურსათის) მაგნე ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად მომხმარებლისათვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია (ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაციის ჩათვლით) ან მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი სხვა ინფორმაცია; სურსათის არა მხოლოდ შესაძლო მეყსეული, ხანმოკლე ან გრძელვადიანი გავლენა მომხმარებელზე, არამედ მისი ეფექტი მომდევნო თაობებზედაც; შესაძლო

ტოქსიკური კუმულაციური ეფექტი; განსაკუთრებული კატეგორიის მომხმარებლის ჯანმრთელობაზე სურსათის ზეგავლენის დონე, თუ ეს სურსათი აღნიშნული კატეგორიის მომხმარებლისთვისაა განკუთვნილი.“ ამდენად, მხოლოდ გამოცდის ოქმში ან/და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების შედეგის საფუძველზე, ვერ შეფასდება სურსათის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის შესაძლო რისკი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სურსათის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის შესაძლო რისკის დონის განსაზღვრა უნდა მოხდეს:

1. კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარებისა და მიღებული შედეგების შეფასების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებმა (მიკრობიოლოგი, ინფექციონისტი, ტოქსიკოლოგი და სხვა).

2. გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანის ჯანმრთელობაზე საფრთხის (ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური აგენტი) ზემოქმედებისას მისი გავლენის ალბათობა (მ.შ ადამიანში სურსათისმიერი დაავადების გამოვლენა და მისი კავშირი მოხმარებულ სურსათთან) და სიმძიმე (კონკრეტული დაავადების სიმძიმე).

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინების შედეგად, სააგენტო აფასებს ესა თუ ის შემთხვევა შეიცავს თუ არა დანაშაულის ნიშნებს, მათ შორის სსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ნიშნებს და საჭიროების შემთხვევაში უგზავნის საქმის მასალებს სამართალდამცავ ორგანოებს.

ზურაბ ჩეკურაშვილი



სააგენტოს უფროსი